

**გამოწვევები თანამედროვე ქართული ეკონომიკის მშენებლობის გზაზე
ბ-ნი ტაო ჟანგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი
დირექტორის მოადგილე**

**გამოსვლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
2017 წლის 12 ივნისი**

ბატონო გიორგი, მადლობას მოგახსენებთ თბილი წარდგენისთვის. საქართველოში სტუმრობა ჩემთვის დიდი პატივია. ვაფასებ ამ შესაძლებლობასაც, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიმყოფები.

მივესალმები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ფინანსთა მინისტრს. მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტიც, რომ ერთად ვიხილავთ თანამედროვე ქართული ეკონომიკის მშენებლობის გზაზე არსებულ გამოწვევებს. ჩემი სამსახურის მეტად სასიამოვნო ნაწილია სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტობასთან შეხვედრა. ეს ჯგუფი წარმოადგენს საქართველოს მომავალს და დღევანდელ დისკუსიაში მას საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება უნდა ჰქონდეს.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე თქვენმა ქვეყანამ დიდ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია და ბოლოდროინდელმა რეფორმებმა უწყვეტ განვითარებას დაუდო საფუძველი.

მიმაჩნია, რომ მოსაგვარებელ საკითხებზე ფართო შეთანხმება არსებობს რადგან გვსურს, რომ საქართველომ მდგრადი ეკონომიკური ზრდა იქონიოს და მთელი ქვეყნის მოსახლეობას მოუტანოს სარგებელი.

ახალგაზრდებო, მოვა დრო და ეს გამოწვევები თქვენ დაგაწვებათ მხრებზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იკისრებთ ისეთი როლსა და ფუნქციას, რაც დროთა განმავლობაში თქვენი ქვეყნის მომავალის განსაზღვრაში შეიტანს წვლილს.

ამდენად, დღეს მსურს რამდენიმე საკითხი მიმოვიხილო.

დავიწყებ გლობალური ეკონომიკის მოკლე აღწერით, რადგან მას ყოველთვის ექნება მნიშვნელოვანი გავლენა თქვენი ქვეყნის პერსპექტივებზე. შემდეგ დავუბრუნდები საქართველოს ბოლოდროინდელ ეკონომიკურ მიღწევებს და მომავალზეც ვისაუბრებ.

გლობალური და რეგიონალური მიმოხილვა

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ახლახანს გაზარდა გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი და მივიჩნევთ რომ წელს ზრდა 3.5 პროცენტი, ხოლო 2018 წელს 3.6 პროცენტი იქნება. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს გლობალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3.1 პროცენტი იყო.

მოსალოდნელთან შედარებით უფრო ძლიერი ეკონომიკური ზრდა შეინიშნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში და იაპონიაში. არადა სამივე ქვეყანა თუ რეგიონში თითქმის მთელი ათწლეულის განმავლობაში არასახარბიელო იყო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი. განვითარებად ბაზრებსა და ქვეყნებშიც შეიმჩნევა მოსალოდნელზე მეტად მყარი ზრდა. ამასთანავე შეიმჩნევა სამომხმარებლო ფასების მატება, რაც 2015 წელს მკვეთრად დაეცა. რუსეთში ეკონომიკური რეცესიიდან გამოსვლის ნიშნებს ვხედავთ.

მოახლოებული გლობალური რისკებიდან აღსანიშნავია, რომ აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკი განაგრძობს საპროცენტო განაკვეთების მატებას, და ეს პროცესი სტაბილური ტემპით გამოირჩევა. შედეგად იზრდება იმის ალბათობა, რომ უფრო მკაცრი ფინანსური პირობები დაწესდეს და სწრაფად-ცვალებადი ბაზარიც შეიძლება მივიღოთ. კავკასიის ქვეყნები - ფინანსური გახსნილობის გამო - ამას ყურადღებით და სიფრთხილით უნდა შეხვდნენ.

მეორე საკითხად მოაზრება გაურკვეველობა ჩინეთის ეკონომიკური დაბალანსების ძალისხმევასთან დაკავშირებით. პეკინში ეკონომიკური ზრდის პირველწყაროდ იქცა ადგილობრივ მოთხოვნაზე აქცენტირება, ხოლო ჩინეთის ფინანსური სისტემის გაძლიერების მცდელობა გრძელვადიან პერიოდში კარგი იქნება როგორც ჩინეთისთვის, ისევე მთელი მსოფლიოსთვის. თუმცა, პროცესი იმდენად რთულია, რომ რისკების გარეშე ვერ წარიმართება. ჩვენ ამის გამოცდილება 2015 წლის ფინანსური ბაზრის რყევებიდან გვაქვს, რამაც გლობალურ ეკონომიკაზე ჰპოვა ძლიერი ასახვა.

მსოფლიოს ამ ნაწილში - კავკასიაში - გასული წლის ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპის შემდეგ სუსტია გამოსვლის ტემპი. საერთო ჯამში, რეგიონს სახელმწიფო ვალი და სუსტი ფინანსური სისტემები ისტორიულად ახასიათებს. ამ სამი ქვეყნის მთავრობებმა ეს საკითხები უცილობლად უნდა მოაგვარონ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით საქართველოს ეკონომიკური ზრდა მიმდინარე წელს 3.5 პროცენტი იქნება, არადა გასული ორი

წლის განმავლობაში საშუალო ზრდის მაჩვენებელი 2.8 პროცენტი იყო. ამას მეტწილად ინვესტიციები და კერძო მოხმარება განაპირობებს.

ჩვენი მოლოდინით, საშუალოვადიან პერიოდში ბოლოდროინდელი კლების შემდეგ საქართველო დაუბრუნდება 5.5 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდის ნიშნულს. თუმცა, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გააგრძელებთ კერძო ინვესტიციების, პროდუქტიულობის ზრდის და ექსპორტის მომატებული კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობ ბოლოდროინდელ პოლიტიკას. მსოფლიო ბანკის დასკვნით, ბიზნესის კეთების გარემოც უმჯობესდება.

საქართველოს გამოწვევები

გაინტერესებთ საქართველოს წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევები? დავასახელებ სამ მათგანს:

პირველ რიგში, საექსპორტო ბაზა ვიწყო. ტრადიციული აგრარული პროდუქცია და მეტალურგიის მსგავსი ისტორიული საექსპორტო დარგები საკმარისი არ იქნება ქვეყნის საექსპორტო პოზიციის გასამყარებლად - არადა გლობალური ეკონომიკა სწრაფად იზდება და ვითარდება. ახალი სექტორები ჩნდება, განსაკუთრებით ტურიზმსა და ტრანსპორტის სფეროში. თუმცა, ამ სფეროში თქვენი კონკურენტები ისეთი ქვეყნები არიან, რომლებსაც იგივე მიზნები ამოძრავებთ.

ბოლოდროინდელი საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები უნდა წაგადგეთ ახალ ბაზრებზე გასვლით ეკონომიკური დივერსიფიკაციის გაძლიერებაში, თუმცა მხოლოდ ეს არ იქნება საკმარისი. ადგილობრივი დანაზოგების მობილიზაცია კაპიტალდაბანდებების მასშტაბისა და ტემპის გასაზრდელად მნიშვნელოვანი იქნება მეტად დაბალანდებული ეკონომიკური ზრდისთვისაც.

მეორე გამოწვევაა შრომის ბაზარი, სადაც უმუშევრობა და დაუსაქმებლობა მაღალ ნიშნულს ალწევს. ქვეყნის მთელი შრომითი რესურსის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობს. ძალიან ბევრი ადამიანია მოქცეული გრძელვადიან უმუშევართა კატეგორიაში.

ეს პრობლემა გარკვეულწილად დიდ უთანასწორობას განაპირობებს ქართულ საზოგადოებაში. უფრო ინკლუზიური ზრდისთვის შემდგომი რეფორმების განხორციელებაა საჭირო.

ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის კვალდაკვალ მოიმატებს ამ პრობლემის სირთულე და კომპლექსურობა.

მთავრობის სერიოზული ძალისხმევაა საჭირო - სავარაუდოდ სამსახურის ძებნისა და პოვნის, დასაქმების გაუმჯობესებული მომსახურების ჩათვლით.

ამასთანავე, სოციალური დაცვის მექანიზმები უნდა შენარჩუნდეს ღარიბი, ხანდაზმული და დაუცველი მოსახლეობისთვის. ეს მოიცავს მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების გამო შეიძლება გადარჩენის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ.

საქართველო ახალი ეკონომიკის პირობებში

დასაქმების საკითხი ცხადყოფს, რომ ქვეყანა მესამე გამოწვევის წინაშე იმყოფება: შრომის ბაზარზე მოთხოვნებთან პროფესიული უნარების დისბალანსი და შეუსაბამობა დიდია.

მოდით ცოტა შორიდან შევხედოთ ამ პრობლემას. სამუშაო პირობები და გარემო სინათლის სისწრაფით იცვლება. ტექნოლოგიური განვითარება და ახალი ბიზნეს მოდელები ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია.

ახალ პროფესიულ უნარებზე მოთხოვნა დიდია. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლებმა მომავლის შრომითი რესურსი უნდა შექმნან ყველა ქვეყანაში. ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ სამუშაო პირობები გამუდმებით უნდა იცვლებოდეს და გასაქანს აძლევდეს ინოვაციებს.

ეს გამოწვევა საქართველოსაც გააჩნია და დარწმუნებული ვარ ბევრმა იცით ამის შესახებ. ქართული კომპანიები, რომლებიც ახალ ეკონომიკურ სივრცეში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას ცდილობენ, ამბობენ, რომ მათი ზრდის და განვითარების ყველაზე დიდი ბარიერია საჭირო პროფესიული უნარების მქონე მუშახელის პოვნა.

განუხრელი ძალისხმევაა საჭირო ისეთი განათლების სისტემის შესაქმნელად, რომელიც ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაა საჭირო, მათ შორის პროფესიული განათლების შემოღებით. შეიძლება სასწავლო პროგრამისა და პედაგოგთა მუშაობის სტანდარტის შემუშავებაც გახდეს საჭირო.

გაუმჯობესებული განათლების შედეგი იქნება საუნივერსიტეტო ხარისხის მისაღებად ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა გაზრდილი ორიენტაცია ახალი ეკონომიკის საჭიროებებზე. ყოველივე ეს შედეგად მოიტანს კარგად ჩამოყალიბებულ სასწავლო პროგრამებს ზრდასრულთათვის.

დასკვნები

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სწორედ თქვენ თაობას მოუწევს ქვეყნის ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში იმგვარად და იმ გზით, რასაც დღეს ბუნდოვნად ვხედავთ. თქვენ მოგიწევთ საერთაშორისო ინტეგრაციისა და კონკურენციის გამოწვევებისადმი თვალის გასწორება.

თქვენ გადამწყვეტ როლს ითამაშებთ საქართველოს მომავლის შენებაში. ზოგიერთი თქვენთაგანი მეწარმე ლიდერი იქნება კერძო სექტორში. ზოგიც საჯარო სექტორში იმუშავებს. (რამდენიმე თქვენგანი შეიძლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტებს შორისაც ვიხილოთ.)

რა საქმესაც არ მოკიდებთ ხელს, იცოდეთ, რომ უშველებელი პასუხისმგებლობა გაკისრიათ იმ თანამემამულეების წინაშე, ვისაც იგივე შესაძლებლობები არ ჰქონია ცხოვრებაში. გააზრებულად გამოიყენეთ ეს შანსი. მაძლობა! \